ლელო

16 - 18 თებერვალი, 1994 წ.
№ 5 (10873) ● ფასი 5000 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშები

საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებზე თენგიზ გაჩეჩილაძე ლილეჰამერიდან ტელეფონით გვატყობინებს:

Lillehammer'94

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებასთან ჰარმონიაში

ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, გულშემატკივრები, სტუმრები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციებისადმი, რომლებიც მსოფლიო სპორტის ყველაზე პრესტიჟულ ფორუმში დამოუკიდებლად ასპარეზობენ. რუსეთისა და უკრაინის დელეგაციების გარდა ისინი ლილეჰამერში მოკრძალებულად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენისა არ იყოს, მთავარი თამაშებში მონაწილეობაა, იმის დაფიქსირება, რომ იზიარებ ოლიმპიურ იდეალებს და მზად ხარ მისი უსიტყვოდ შესასრულებლად.

სხვათა შორის, ძველი ბერძნები ოლიმპიადების დროს წყვეტდნენ ომებს და საომრთო ხაკს აცხადებდნენ. ასეთი ინიციატივით გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც ლილეჰამერში, რომელმაც ბოსნიის კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მშვიდობისა და დაზავებისკენ მოუწოდა. 8 თებერვალს ოლიმპიური სოფლის მცხოვრებლებმა თანაგრძნობის წერილი გაუგზავნეს სარაევოს მოსახლეობას. ხელმოწერები ამ წერილის ქვეშ დღემდე გრძელდება და ბოლოს იგი სარაევოს მერს გადაეცემა.

ლილეჰამერში გასაგები პოპულარობით სარგებლობს ჩვენი თანამემამულე, ლეგენდარული სამხრეთ-მოთხილამურე კობა წაქაძე, რომელიც ზამთრის ოლიმპიადების ოთხგზის მონაწილეა. მაგრამ აქ პირველად შეიტყვეს, რომ კობა ქართველია და XVII ოლიმპიადაში მონაწილეობს მისი ვაჟიშვილი კახა.

წაქაძისა და საერთოდ ტრამპლინიდან მხტომელთა მიმართ ნორვეგიელთა ინტერესი ბუნებრივია და გასაგები; ბევრმა ალბათ არ იცის, რომ გასულ საუკუნეში ტელემარკელებმა (სოფელია ნორვეგიაში) თოვლის პატარა ბორცვიდან პირველი ნახტომი განახორციელეს თხილამურებით (ხტებოდნენ ისინი წელში გამართულები). ხოლო ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ნორვეგიელმა სპორტსმენმა და სპეციალისტმა ტ. ტამსმა საფუძველი ჩაუყარა თხილამურებით ხტომის თანამედროვე სტილს — ე. წ. აეროდინამიკურ მეთოდს. დღეს ხტომის ეს სრულყოფილი ფორმა ფართოდაა გავრცელებული.



მოგვიანებით აეროდინამიკურ მილში ჩატარებული ექსპერიმენტების საშუალებით დადგინდა სპორტსმენის იდეალური მდგომარეობა ჰაერში, იდეალურთან ახლოს დგას თურმე ნახტომი, რომლის დახრილობის კუთხე 23-25 გრადუსია, მაგრამ როგორც სპეციალისტები ამბობენ, პრაქტიკულად ასეთი ნახტომის განხორციელება შეუძლებელია, და თუკი ვინმე მაინც შეასრულებს მას, დასკვნით ფაზაში უსათუოდ დაეცემა.

ეს ყველაფერი გაგვახსენა კობა წაქაძემ და მისადმი მიძღვნილმა ერთ-ერთმა სტატიამ გერმანულ „სპორტ რევიუში“, სადაც ეწერა: „ჩვენთვის ცნობილია კობა წაქაძის ბევრი ნახტომი, რომელიც მას განასხვავებს ყველა მხტომელისაგან დიდი და გაბედული დახრილობის კუთხით (32-35 გრადუსი). რაც შეეხება გერმანელ ჰელმუტ რეკნაგელს, მისი დახრილობის კუთხე 38-40 გრადუსის ფარგლებში მერყეობს“.

კობა წაქაძის ნახტომის იდეალურ სტილს ხაზს უსვამდა სამთო-სათხილამურო სპორტის კიდევ ერთი სპეციალისტი იან შელდერუპი. იგი ამბობდა: „ვიცოდი, რომ ხტომა სწორედ ისე უნდა, როგორც ამას წაქაძე ასრულებს, მაგრამ არასდროს არ ვიფიქრებდი თუ ოდესმე ვიხილავდი ამ ნახტომს. ქართველ მოთხილამურეს იდეალურად უჭირავს ტანი ჰაერში, მაგრამ მიწაზე დაშვებისას იგი აშკარად სუსტია“. სწორედ აეროდინამიკური ექსპერიმენტის საფუძველზე აღ. მოჩენილმა ჭეშმარიტებამ შეუშალა ხელი წაქაძეს ოლიმპიადების პრიზიორი გამხდარიყო — მას არ უვარგოდა მიწაზე დაშვების ფაზა, თუმცა კი ნახტომს იდეალურად ასრულებდა. არა და 1960 წელს სკვო-ველში რეკნაგელი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, წაქაძემ კი მხოლოდ IX ადგილი დაიკავა.

თუმცა სჯობს ისევ ლილეჰამერს დავუბრუნდეთ და მის ოლიმპიურ ყოველდღიურობას, მით უმეტეს, რომ თამაშების გახსნამდე აქ ბევრ პრობლემაზე იყო მსჯელობა და აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა გახლდათ XXI საუკუნის პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების საკითხი. 2002 წლის თეთრი ოლიმპიადის მოწყობაზე პრეტენზიას 10 ქალაქი აცხადებს, მათ შორის ალმა-ათა და სოჩი. სოჩის აღმასკომის წინადადებით შესაძლოა კანდიდატთა შორის მოეწყოს ორტურიანი კონკურსი-დათვალიერება. თავდაპირველად პრეტენდენტები გაივლიან შერჩევის წინასწარ ეტაპს, მერე კი ფინალურს. ნორვეგიის პრესის განმარტებით სოჩის წევრთა უმრავლესობის სიმპათიები აშკარად სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ) მხარესაა (როგორც ცნობილია, შეერთებულმა შტატებმა სამჯერ უმასპინძლა თეთრ ოლიმპიადას — ორჯერ ლეიკ-პლესიდმა და ერთხელ სკვო-ველმა). თუმცა რეალურ კანდიდატზე საუბარი ჯერ ნაადრევია. 2002 წლის თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევა მოხდება სოჩის 1995 წლის სესიაზე.

როგორც ეტყობა, ლილეჰამერის ოლიმპიადა მისი ორგანიზატორებისთვის ერთობ „სარფიანი საქმე“ იქნება. ფიქრობენ, რომ ამ მხრივ იგი მოხსნის ყველა ადრინდელ რეკორდს. ყოველ შემთხვევაში, ეკონომისტთა ვარაუდით ტელეგადაცემების უფლებისა და ბილეთების გაყიდვით შემოსულმა თანხამ, აგრეთვე სპონსორთა შემოწირულობებმა შესაძლოა გადააჭარბოს 500 მილიონ დოლარს. ნორვეგიელი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება 4 მილიონიანმა ქვეყანამ საქმის სწორი ორგანიზაციით თავის ბიუჯეტს გარკვეული ნამატი მოუტანოს.

რეკორდებზე ჩამოვარდა სიტყვა და უნდა აღვნიშნოთ, რომ ლილეჰამერის თამაშები ამ მხრივ მართლაც სამაგალითო იქნება. დავიწყოთ იმით, რომ აქ ეს უკვე დადასტურებულია, არ იქნება თოვლის პრობლემა, რომელიც აგრერიგად აწუხებდათ ბოლო ოთხი თამაშების ორგანიზატორებს. სინოპტიკოსების განცხადებით თოვლის ასეთი საფარი ლილეჰამერში არ ყოფილა ბოლო 40 წლის მანძილზე. გარდა ამისა, პრაქტიკულად უკვე გაიყიდა 1 მილიონ 400 ათასი ბილეთი. ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა — 66 (აქამდე რეკორდი ეკუთვნოდა ალბერვილს— 64 ქვეყანა). და კიდევ ერთი რეკორდი. ოლიმპიურ ტელეტრანსლაციებს ლილეჰამერიდან მიიღებს 100 ქვეყანა, ხოლო სულ გათამაშდება შედლების 61 კომპლექტი.

თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში უკვე ჩამოვიდა ათასობით საპატიო სტუმარი, ბევრი კიდევ ჩამოდის. მათ შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ ქლინთონის მეუღლე ჰილარი და ქალიშვილი, ინგლისელი პრინცესა ანა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი და მისი რუსი კოლეგა პაველ გრაჩოვი. ბუნებრივია, ასეთი მაღალი რანგის სტუმრებს გაძლიერებული დაცვა სჭირდებათ, რასაც საკმაოდ წარმატებით ართმევს თავს ნორვეგიის პოლიცია და ჯარის ნაწილები. რამდენიმე დიდგვაროვანი უშუალოდ თამაშებში მონაწილეობს. ერთი ასეთი გახლავთ მონაკოს პრინცი ალბერტი, რომელიც ბობსლეისტთა ტურნირში ასპარეზებს.

ლილეჰამერში საკმაოდ ბევრს წერენ ამერიკელი მოციგურავეების ტანია ჰარდინგისა და ნენსი კერიგანის სკანდალურ, ან უფრო სწორად, კურიოზულ კონფლიქტზე. ამ ისტორიაში ბევრი რამ არის ბუნდოვანი და გაუგებარი. მაგრამ მთავარია ის, რომ კერიგანის გზიდან ჩამოცილების მიზნით მას თავს დაესხნენ ჰარდინგის მომხრეები. საბამ საქმის გამოძიება მიმდინარეობდა, დაზარალებულმა ხელთ იგდო ამ თავდასხმის ამსახველი კინოფირი და გაყიდა იგი 500 ათას დოლარად. არც თამაშების ორგანიზატორები და არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები საქმეში არ ჩარეულან. მათი განცხადებით თოვლის ასეთი საფარი ლილეჰამერში არ ყოფილა ბოლო 40 წლის მანძილზე. გარდა ამისა, პრაქტიკულად უკვე გაიყიდა 1 მილიონ 400 ათასი ბილეთი. ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა — 66 (აქამდე რეკორდი ეკუთვნოდა ალბერვილს— 64 ქვეყანა). და კიდევ ერთი რეკორდი. ოლიმპიურ ტელეტრანსლაციებს ლილეჰამერიდან მიიღებს 100 ქვეყანა, ხოლო სულ გათამაშდება შედლების 61 კომპლექტი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იხ. გვ. 2-ზე

რა იღლიანები ყოფილან სლოვენიელები

„ტურნირის პირველი მატჩი (იგულისხმება საქართველო—სლოვენიის შეხვედრა — რედ.) სულ ბოლოს უნდა გამართულიყო“, „გლიჰამ დაასამარა ქართველთა იმედები“, „სლოვენები იღბლიანი ხალხი ყოფილა“ — ასეთი სათაურებით გამოეხმაურა მალტის პრესა ამ დღეებში ლა-ვალეტაში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირს.

ოთხი ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდების ასპარეზობის მეორე დღეს ქართველები მასპინძლებს შეხვდნენ. თემურ ქეცბაიას გოლმა გამარჯვება მოუტანა ჩვენებს. სლოვენიისა და ტუნისის ნაკრებებმა ფრედ 2-2 ითამაშეს.

ამრიგად, ტურნირის ბოლო დღეს სატურნირო ცხრილში საკმაოდ ბუნდოვანი მდგომარეობა შეიქმნა: საქართველო — ტუნისის მატჩში მოგებული გუნდი, იმ შემთხვევაში, თუ სლოვენებს მალტელებთან ხელი მოეცარებოდათ, პირველ ადგილზე გადიოდა.

თავდაპირველად ჩვენებისა და ჩრდილოეთ აფრიკელების შეხვედრა გაიმართა. ბოლო დროს ტუნისელების რეიტინგი (განსაკუთრებით გერმანელებთან და ჰოლანდიელებთან ფრედ ნათამაშევი მატჩების შემდეგ) საგრძნობლად ამაღლდა. ჩვენი მეტოქეები ამჯერადაც უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდნენ და შეხვედრაც საკმაოდ მიმზიდველი გამოდგა. მიხეილ უაველაშვილის და დმიტრი კუდინოვის გოლებს ტუნისელებმა ვერაფერით უპასუხეს — 2:0.

მოგვიანებით გაიმართა მალტა-სლოვენიის შეხვედრა. მასპინძლები წინა შეხვედრაში ქართველებთან განცდილი მარცხის შემდეგ საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციას ლამობდნენ. მათ თავიდანვე შეუტიეს სტუმრების კარს, სლოვენების ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ აქაც (როგორც ქართველებთან შეხვედრაში) მათ „გაჭირვების ტაკვესმა“ გლიჰამ უშველა, რომლის მიერ გატანილმა გოლმა ერთობ დააშოშმინა მალტელები.

საბოლოოდ სლოვენებმა 5 ქულა მოაგროვეს, ქართველებმა — 4, ტუნისელებმა — 2, მალტელებმა — 1.

უფრო დაწვრილებით მალტის საერთაშორისო ტურნირის შესახებ და, საერთოდ, ნაკრების პრობლემებზე ლაპარაკი იქნება 17 თებერვალს სფფ-ში გამართულ პრესკონფერენციაზე.

აქვე, გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები მცირე შესვენების შემდეგ კვლავ საზღვარგარეთ მიემგზავრება, ამჯერად თელ-ავივში: 23 თებერვალს დაგეგმილია შეხვედრა ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან („პარიზული სენსაციის“ ამსწინანდელ ავტორებთან), ხოლო 28-ში — ამავე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ისრაელის ჩატჩებში მონაწილეობის მისაღებად გამოძახებულია მხოლოდ 3 ლეგიონერი: კვიპროსში მოთამაშე კახი კაჭარავა, „გერმანელი“ რევაზ არველაძე და „ფრანგი“ გია გურული.

ჯემალ ჭიკაშვილი

თამაშებს მიეძღვნა

ქართველთა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, საქართველოს რბენის მოყვარულთა ასოციაციამ და საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივმა“ ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნას მიუძღვნეს ორდღიანი სათხილამურო ტრაერსი: თბილისი-მანგლისი-დიდგორი-ნიჩბისი. გამგზავრებისას ლაშქრობა (მონაწილენი: გურამ ნიკოლეიშვილი, თამაზ ბიბილური, კარლო ჭეჭელაშვილი, თემურ გოგოლაძე, გურამ თელიძე, მირიან კაპანაძე, დავით ხაინდრავა,, სერგო ქართველიშვილი და ეთერ ქარსელაძე) დალოცა ანჩისხატის წინამძღვარმა მამა ზაქარიამ.

მინჭანები დიდგორის გადასახვევთან შეჩერდნენ. ტრავერსის მონაწილენი აქ დაემშვიდობნენ გამცილებლებს, მოირგეს თხილამურები, ზურგჩანთები და მთას აუყვნენ. საღამოს 5 საათისთვის მოლაშქრენი ავიდნენ დიდგორის მემორიალზე, მემორიალის მთის წვერზე დაკიდებულ ზარს შემოჰკრეს... მწუხრი ჩამოწვა და სამშობლოსთვის დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად დანთებული სანთლები ციციანთელებივით აციაფდა.

მემორიალის გვერდით, ტყის პირას გაიშალა კარვები და კოცონიც აინთო, მოლაშქრენი გათენებამდე საუბრობდნენ, გაიხსენეს სახელოვან წინაპართა გმირული ისტორია.

მთელი ღამე ისმოდა ობელისკებზე დაკიდებული ზარების ხმა, მგლების ყმუილი. გათენებისას ერთიანად იმატა თოვლმა და ქარმა. ქარბუქის მიუხედავად, ტრავერსის მონაწილენი მეორედ ავიდნენ მემორიალზე და სოფელ ნიჩბისკენ დაეშვნენ...

* * *

ფეიქმნა საქართველოს მოგზაურთა საერთაშორისო კლუბი „სხივი“, რომლის მიზანია საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და ჩვენი გმირული წარსულის ადგილების მონახულება და წვლილის შეტანა მათ აღდგენაში. უახლოეს მომავალში კლუბს განზრახული აქვს ლაშქრობა დიდგორში, გუდაურში, ზედაზენზე, დავით გარეჯში, კრონის ხეობაში და სხვა. მოგზაურობის მოყვარულთ შეუძლიათ მიმართონ მისამართით—ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 8. ტელეფონები: 99-07-30 ან 95-09-44.

ტრავერსის მონაწილე
თამაზ ბიბილური

მილოცვები

დაბადების დღეს ვულოცავთ ! მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვებულს, მსოფლიოსა და ევრობის ჩემპიონს ბატუტზე ხტომაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ანა დოღონაძეს და მის თანაგუნდელს, სპორტის ოსტატ ზაალ ხიზანიშვილს

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია

* * *

საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტსაზოგადოება „მართვეს“ კოლექტივი დაბადების 70 წლისთავს ულოცავს მოჭიდავეთა მრავალი თაობის აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი ბარბაქაძეს და მხნეობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს.

სამგისტები ჩოხას ·ორგეშენ

საქართველოს სამბისტები 3-6 მარტს მოუსინჯავენ ერთმანეთს „ჯილს“. ეს იქნება წლევანდელი სეზონის პირველი შეხვედრები, სადაც გათამაშდება რესპუბლიკური პირველობა სპორტსაზოგადოებებს შორის. აქვე დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც ერთი კვირის შემდეგ მოსკოვის ტურნირზე გაემგზავრება, აპრილში კი ჩვენს მოჭიდავეებს ესპანეთის ქალაქი ბილბაო ელის. იქ გათამაშდება მსოფლიო თასი უძლიერეს კლუბებს შორის. მაისში მსოფლიო პირველობას გაითამაშებენ ჭაბუკი და ვეტერან მოჭიდავეებ, მაისშივე სამბისტები თავს მოიყრიან დონეცკის ტურნირზე. ივლისში კონტინენტის ჩემპიონატს უმასპინძლებს ვილნიუსი, აგვისტოში თბილისში გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი. სამბოს მოჭიდავეები არც სექტემბერში მოიწყენენ. ისინი კიევის ტრადიციულ ტურნირში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. სეზონის დამაგვირგვინებელი აკორდი კი იქნება მონრეალის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მოზრდილებთან ერთად ახალგაზრდა სპორტსმენებიც გაითამაშებენ უძლიერესის სახელს.

ქართველი არბიტრი — წლის საუკეთესო

სამბოს საერთაშორისო ფედერაციამ (ფმს) შარშანდელი სეზონის მიხედვით წლის საუკეთესო არბიტრად დაასახელა ცნობილი ქართველი მსაჯი, საქართველოს სამბოს ფედერაციასთან არსებული მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, საერთაშორისო კატეგორიის ექსტრაკლასის არბიტრი შოთა ზუკაკიშვილი.

სასპორტო სკოლის ტიპიური დებულება

პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ზოგადი დებულებანი:

1. წინამდებარე დებულება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ ყველა ტიპის სასპორტო სკოლაზე, მიუხედავად მისი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

2. სასპორტო სკოლა (შემდგომში სკოლა) წარმოადგენს სკოლისგარეშე დაწესებულებას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობის განმტკიცება და ამის საფუძველზე სპორტული რეზერვების მომზადება.

3. სკოლა იქმნება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით და სახსრებით, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, ასევე შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან შეთანხმებით.

სკოლის დამფუძნებელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი.

სკოლა შეიძლება შეიქმნას სპორტის ერთ, ან რამდენიმე სახეობაში, რესპუბლიკაში (რეგიონში) არსებული ტრადიციების გათვალისწინებით, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შესაფერისი კადრებისა და კონტინგენტის არსებობის შემთხვევაში.

დამფუძნებლებმა შეიძლება შექმნან ფასიანი, უფასო, ან შერეული ტიპის სკოლა, რომლის საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს წინამდებარე დებულება.

4. სკოლა წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს ემბლემა, ერთიანი სპორტული ფორმა, სამკერდე ნიშანი და სხვა ატრიბუტიკა.

5. სკოლა თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.

2. სკოლის საქმიანობის ორგანიზაციული საფუძვლები:

6. წინამდებარე დებულების მოთხოვნების საფუძველზე სკოლა ადგენს სამუშაო და სასწავლო გეგმებს სპორტის სახეობათა სპეციფიკის, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

7. მაღალი კლასის სპორტსმენთა, საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატთა მომზადებისა და სათანადო დებულებით განსაზღვრული რეალური პირობების არსებობის შემთხვევაში, სკოლას შეიძლება მიენიჭოს ოლიმპიური რეზერვის სკოლის სტატუსი, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დამფუძნებელი, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოსთან და შესაბამის სპორტულ ფედერაციასთან შეთანხმებით.

დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სკოლას შესაძლებელია მოეხსნას ეს სტატუსი, შემდგომში აღდგენის უფლებით.

8. დამფუძნებელ ორგანიზაციას, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით, შეუძლია წამყვანი სკოლის ბაზაზე შექმნას რესპუბლიკური, ან ცენტრალური სკოლა, რომელიც კოორდინაციას, მეთოდურ და საორგანიზაციო ხელმძღვანელობას გაუწევს სისტემის სპორტულ სკოლებს. მის დებულებას ამტკიცებს დამფუძნებელი, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით.

3. სკოლის საქმიანობის მართვა.

9. სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომლის დანიშვნა და განთავისუფლება ხდება დამფუძნებლის მიერ. ოლიმპიური რეზერვის სკოლის დირექტორის დანიშვნა-განთავისუფლება ხდება რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით.

10. სკოლის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოს მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად.

11. სკოლის თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება ხდება დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

12. სკოლის საქმიანობის საკვანძო საკითხებზე კოლეგიალური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით იქმნება მწვრთნელ-მასწავლებელთა საბჭო.

4. სპორტული სკოლის მოსწავლეები:

13. სკოლაში ჩაირიცხებიან ბავშვები, მოზარდები და ახალგაზრდები სათანადო სამედიცინო ცნობის საფუძველზე.

14. სკოლაში ჩასარიცხი აღსაზრდელების ასაკი, სასწავლო ჯგუფებში მომეცადინეთა ოპტიმალური რაოდენობა და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება შესაბამის სახეობათა სპორტული ფედერაციების მიერ.

15. სკოლის აღსაზრდელთა უფლება-მოვალეობანია:

— სისტემატურად აიმაღლონ თეორიული, საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების დონე, სრულყონ სპორტული ოსტატობა.

— დაიცვან სპორტული რეჟიმი და სანიტარული მოთხოვნები, წესრიგი და დისციპლინა, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

— ისარგებლონ სკოლის სპორტული ნაგებობებით, ინვენტარითა და მოწყობილობებით.

— მიიღონ ან შეიძინონ სკოლისგან სპორტული ფორმა და ინვენტარი.

— სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღონ მოწმობა მიღწეული სპორტული მაჩვენებლების აღნიშვნით, აგრეთვე საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა და მსაჯის წოდებები.

— მიიღონ სკოლისგან კვების თანხა, სტიპენდია ან სხვა სახის მატერიალური ანაზღაურება.

— სკოლის აღსაზრდელს ეკრძალება გადავიდეს სხვა სპორტულ სკოლაში ან სპორტულ საზოგადოებაში, შეიცვალოს პარტნიორები, მონაწილეობა მიიღოს კომერციულ გარიგებაში ან მის მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტაში, სკოლის დირექტორისა და დამფუძნებლის ნებართვის გარეშე.

— სასწავლო ჯგუფის ან აღსაზრდელის მომზადების შემდგომ ეტაპზე გადაყვანა ხდება გამოცდების ჩაბარებით, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად.

— სკოლის აღსაზრდელის დასჯა-წახალისება ხდება დირექტორის ბრძანებით.

5. სკოლის მუშაკთა შრომის შეფასების კრიტერიუმები და ანაზღაურების პირობები:

16. სკოლის, ასევე მისი მწვრთნელ-მასწავლებლების კატეგორიასა და შრომის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანო შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

17. სკოლის მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

6. სკოლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა:

18. სკოლის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ხარჯებს სკოლის მუშაკთა ხელფასებისთვის, სასწავლო-საწვრთნელი პროცესისა და სასწავლო-საწვრთნელი შეჯიბრებისთვის, სპორტული ბაზების იჯარისთვის, საზაფხულო სპორტული ბანაკების ორგანიზაციისთვის, სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენისთვის, აგრეთვე, სამეურნეო და სამივლინებო ხარჯებს.

19. სკოლა თავის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას ახორციელებს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დამფუძნებლის სახსრებითა და სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლებით, რომლებიც კანონით არ არის აკრძალული.

20. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

— საბიუჯეტო და სოციალური დაზღვევის სახსრები;

— დამფუძნებლის მიერ გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

— სხვადასხვა ორგანიზაციების, კომერციული სტრუქტურებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მიერ გაღებული შემოწირულობანი;

— სკოლის მიერ აღზრდილი სპორტსმენების სხვაზე გადაცემით მიღებული საზღაური;

— სხვა შემოსავლები.

21. სკოლის მიმდინარე ანგარიშზე წლის ბოლოსთვის დარჩენილი სახსრები ამოღებას არ ექვემდებარება და გადადის მომდევნო წელს.

22. სკოლის დამოკიდებულება დამფუძნებელთან განისაზღვრება ამ უკანასკნელის მიერ წაყენებული მოთხოვნების ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია დადგენილებაში სკოლის შექმნის შესახებ.

23. ფასიანი მომსახურება, ნაგებობებისა და ინვენტარის გაქირავება ხდება სახელშეკრულებო ფასებში.

24 სახსრების ხარჯვა ხდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

25. სკოლა თავის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობით ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.

7. სკოლის საერთაშორისო საქმიანობა:

26. სკოლას უფლება აქვს დაამყაროს კავშირურთიერთობანი საზღვარგარეთის სპორტულ ორგანიზაციებთან და კლუბებთან ხელშეკრულების საფუძველზე; მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში; მიიწვიოს ისინი თავიანთ შეჯიბრებებზე, ერთობლივ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე; მოახდინოს სპეციალისტთა გაცვლა, გამოცდილების გაზიარება და სხვა.

8. სკოლის საქმის წარმოება, აღრიცხვა და ანგარიშგება:

27. სკოლა ვალდებულია ჰქონდეს და აწარმოოს შემდეგი დოკუმენტაცია:

— სამუშაო, კალენდარული და სასწავლო გეგმები ყოველი სასწავლო წლისთვის, დამტკიცებული დამფუძნებლის მიერ;

— აღსაზრდელთა სიები სასწავლო ჯგუფების მიხედვით;

— შრომითი ხელშეკრულებები დირექციასა და სკოლის მუშაკთა შორის;

— სკოლის მუშაკთა სატარიფიკაციო სია;

— სკოლის მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების ბრძანებები;

— სპორტსმენის პირადი ბარათი;

— სკოლის მუშაკთა პირადი საქმეები;

— სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა ცხრილი და გეგმები;

— სკოლის შინაგანაწესი;

— ყოველი სასწავლო ჯგუფის პირადი საქმე და მეცადინეობათა აღრიცხვის ჟურნალი;

— ჩატარებული შეჯიბრებისა და მოპოვებული შედეგების აღრიცხვის ჟურნალი, შეჯიბრების ოქმები;

— სპორტული დახელოვნებისა და უმაღლესი სპორტული დოსტიჟეების ჯგუფების სპორტსმენთა ინდივიდუალური წვრთნის გეგმები;

28. საბუღალტრო აღრიცხვა და საქმისწარმოება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად.

29. წლიური სტატისტიკური ანგარიშის მომზადება ხდება რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

30. სკოლის ლიკვიდაცია, ან რეორგანიზაცია ხდება დამფუძნებლის მიერ, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, ასევე შესაბამის სპორტულ ფედერაციასთან შეთანხმებით.

31. სკოლის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონების განაწილებას ახდენს დამფუძნებლის მიერ შექმნილი კომისია, დადგენილი წესის შესაბამისად.

შენიშვნა: დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს ვთხოვთ თავიანთი წინადადებანი და მოსაზრებები მიაწოდონ გაზეთის რედაქციას და საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ფიზიკური აღზრდისა და სასწავლებლების სამმართველოს. აქვე შეიძლება გაეცნოთ დებულების დანართთა პროექტებს. ტელეფონები: 29-28-95, 23-50-09, 99-56-14.

ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშები

ბუნებასთან ჰარმონიაში

(დასასრული)

ზადებით ეს სანდალი ამერიკელთა შინაური საქმეა, ისინი თვითონვე სხვების ჩაურევლად მოაწესრიგებენ კონფლიქტს.

გასულ პარასკევს ოლიმპიურმა ჩირაღდანმა გადაკვეთა შვეიცარიის-ნორვეგიის საზღვარი. ბოლო ეტაპზე ცეცხლოვანი ესტაფეტა მიჰქონდა სახელოვან შვედ მოთხილამურეს, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონსა და პრიზიორს გუნდე სვანს.

XVII ოლიმპიადის მთავარი ლოზუნგი „ოლიმპიური თამაშები ბუნებასთან ჰარმონიაში“ იდეალურადაა შერწყმული ლილეჰამერის გარემოსთან, მის ლანდშაფტთან, უნიკალურ საინჟინრო ნაგებობებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით სამაგალითოა ტრამპლინების კომპლექსი ოლიმპიურ პარკში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ოლიმპიადის გულს.

თამაშების გახსნის ცერემონიალი ორგანიზატორებმა ორგანყოფილებიანი სანახაობის სახით წარმოადგინეს (კულტურული პროგრამა და ოფიციალური, სპორტული ნაწილი). ორივე განყოფილება მიჰყავდათ ნორვეგიაში ყველაზე პოპულარულ და დაფასებულ ადამიანებს — ლეგენდარული „კონ-ტიკის“ გმირს ტურ ჰეიერდალსა და ცნობილ კინოშსახიობს, მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორის ინგმარ ბერგმანის მეუღლეს ლივ ულმანს.

პირველი განყოფილებაა წარმოდგენილი იყო ლეგენდა ფოლკლორული სანახაობა, რომელსაც ლეიტმოტივად გაჰყვებოდა ნორვეგიული ხალხის სისხლხორცეული კავშირი ბუნებასთან (სხვათა შორის, აქ სიამაყის გრძნობით აცხადებენ, რომ ოლიმპიური ბაზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში ერთი ხეც არ მოჭრილა). ტურ ჰეიერდალმა დიდი მოწიწებითა და პატივისცემით წარუდგინა მაყურებლებს ნორვეგიის მეფე ჰარალდ V და მისი მეუღლე — გვირგვინოსანი დედოფალი.



ნორვეგიელ ხალხსა და 2 მილიარდამდე ტელემაყურებელს (ესეც რეკორდია) მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გერჰარდ ჰაბერგმა. მან ხაზი გაუსვა ლილეჰამერის ოლიმპიადის სამ განზომილებას — სპორტს, კულტურას, ეკოლოგიას და აღნიშნა, რომ სამივე ეს კომპონენტი ნორვეგიის ხალხისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ილაპარაკა სარაევოს ტრაგიკულ დღეებზე და დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად წუთიანი დუმილი გამოაცხადა. პრეზიდენტის ამ მოწოდებას უსიტყვოდ დაუჭირა მხარი 40-მა ათასმა მაყურებელმა. სამარანჩმა, ამავე დროს, მადლობა გადაუხადა მეფის ოჯახს ყოველმხრივი მხარდაჭერისა და დახმარებისთვის, ამავე დროს აღნიშნა, რომ თავის დროზე მეფე ოლაფ V ოლიმპიადის მონაწილეც კი იყო.

დადგა საზეიმო ცერემონიალის გადამწყვეტი მომენტი. მეფე ჰარალდ V თამაშები გახსნილად გამოაცხადა. ოლიმპიური ალამი სტადიონზე სპორტის ვეტერანთა რვაკაციანმა ჯგუფმა შემოიტანა ლეგენდარული მოციგურის ალმარ ანდერსენის მეთაურობით, რომელმაც, ზუსტად 42 წლის წინ ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში სამი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. ოლიმპიური ცეცხლი სტადიონზე ტატის მემკვიდრე პრინცმა ხოკანმა დაანთო. თამაშების მონაწილეთა სახით ოლიმპიური ფიცი დადო წინა ოლიმპიადის ორგზის გამარჯვებულმა ვეგარდ ულვანგმა, მსაჯთა ფიცის სიტყვები კი კარინ კენინგვემ წარმოთქვა...

XVII ზამთრის ოლიმპიადის პირველი „ოქრო“ ქალთა 15-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში გათამაშდა. სპეციალისტები უპირატესობას იტალიელთა დუეტს (მანუელა დი ჩენტა—სტეფანია ბელმონდო) და რუსეთის გუნდის სამ წევრს (ლიუბოვ ეგოროვა, ნინა გავრილიუკი, ელენა ვიალბე) ანიჭებდნენ, თანაც განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ ეგოროვას, რომელმაც ორი წლის წინ ალბერვილში სამი ოქროსა და რვიცლის ოლიმპიური მედალი მოიგო. მაგრამ სპეციალისტთა პროგნოზებში „მცირედი“ კორექტივი შეიტანა იტალიელმა მანუელა დი ჩენტამ, რომელიც ბრწყინვალედ მომზადებული აღმოჩნდა ლილეჰამერის სტარტებისთვის: 15 კილომეტრზე რბენაში მას კონკურენტი არა ჰყოლია. იტალიელი წინ იყო სამივე საკონტროლო ხაზზე: 1,7 კილომეტრის შემდეგ — 4.47,6; 7,1 კილომეტრის შემდეგ — 21.50,7; 12 კილომეტრის შემდეგ — 33.18,2, დისტანციის გავლას კი 39.44,5 მოანდომა. ლ. ეგოროვა მეორე იყო, ამასთან, ახალ ოლიმპიურ ჩემპიონს იგი საკმაოდ ჩამორჩა — 41.03,0. ბრინჯაოს მედალი რუსეთის გუნდის მეორე წევრმა ნინა გავრილიუკმა დაისაკუთრა.

ოლიმპიადის ტაბლო

● **ჰოკეი.** ტურნირის მთავარი სენსაციაა რუსეთის გუნდის დამარცხება ფინეთთან, თანაც დიდი ანგარიშით — 0:5. როგორც სტატისტიკოსები ამბობენ, ამგვარი ანგარიშით ხაბეჭოთა ნაკრებს, რომლის სამართალმემკვიდრე სწორედ რუსეთის გუნდი გახლავთ, არ წაუგია 60-იანი წლების მიწურულიდან. ირკვევა, რომ ლეგიონერების უმეხოდ ერთ დროს უძლიერესი ნაკრები ხაშიშ ძალას აღარ წარმოადგენს, თუმცა ადვილი შესაძლებელია გამწვრთნელმა გუნდმა კიდევ გამოაჩინოს, კლანჭები და გამოახწოროს მდგომარეობა. სხვა შედეგები: გერმანია —ნორვეგია 2:1, ჩეხეთი — ავსტრია 7:3. „ა“ ჯგუფში 4-4 ქულით დაწინაურდნენ ფინეთისა და გერმანიის გუნდები, 2-2 ქულა აქვთ რუსეთისა და ჩეხეთს. არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ ნორვეგიასა და ავსტრიას.

● **ციგაობა.** ალბერვილის ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორების გეორგ ჰაკლისა (გერმანია) და მარკუს პროკის (ავსტრია) ორთაბრძოლა ამჯერადაც პირველის გამარჯვებით დამთავრდა. მარკუს პროკი ორგზის ოლიმპიური ვიცეჩემპიონია.

● **ციგურაობა.** 1. ალექსანდრე გოლუბევი — 36,33 (ოლიმპიური რეკორდი), 2. სერგეი კლევჩენია (ორივე — რუსეთი) — 36,39, 3. მანაბუ პორიი (იაპონია) 36,53.

● **თხილამურები.** ვაუთა 30-კილომეტრიანი რბოლა თავისუფალი სტილით ოლიმპიადის მახპინძელთა სრული ტრიუმფით აღინიშნა: 1. თომას ალსგაარდი — 1:12.26,4, 2. ბიორნ დელი (ორივე — ნორვეგია) — 1:13.13,6.

● **ხრიალდაფა.** 66 მონაწილეს შორის ხაუკეიესო შედეგი ჰქონდა ამერიკელ ტომი ჰოლ, რომელსაც უწინ დიდი არაფერით გამოუჩენია თავი. ჩვენმა თანამემამულემ ზურაბ ჯიბუტაძემ 47-ე ადგილი დაიკავა.

ჩვენი მომავალი მეტოქე

ფეხბურთი ისრაელში

ფეხბურთი ისრაელში საკმაოდ პოპულარული სახეობაა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია („ისრაელ ფუტბოლ ასოშეიშნ“) ჩამოყალიბდა 1928 წელს, ერთი წლის შემდეგ ფიფაში გაწევრიანდა, აზიის ფეხბურთის ფედერაციაში კი 1956 წელს, მაგრამ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციების გამო ისრაელის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური ტურნირის შესარჩევ ჯგუფებში თამაშობდა არა აზიის, არამედ ევროპის ზონაში. ქვეყანაში 550 კლუბია, 17 ათასი მოყვარული ფეხბურთელი, სულ ჰაბუკებთან ერთად კი 31 ათასი, კლუბებს შორის ყველაზე პოპულარულია „მაკაბი“ და „აპოელი“ (ორივე — თელ-ავივი). სეზონი დაახლოებით ისეთივე ვადებში მიმდინარეობს, როგორც საქართველოში: იწყება სექტემბერში, ჩემპიონატის პირველ და მეორე წრეებს შორის მცირე შესვენებაა და მთავრდება ივნისში. ყველაზე დიდი სტადიონია „რამათ-განი“ თელ-ავივში, რომელიც 55 ათას მაყურებელს იტევს. სხვა მნიშვნელოვანი სტადიონებია თელ-ავივის „ბლუმფილდ სტადიონი“ (20 ათასი), ჰაიფის „კირიათ ჰაიემი“ (20 ათასი), ჰაიფის მუნიციპალური სტადიონი (15 ათასი). 1969 წელს „მაკაბმა“ გაიმარჯვა ზაზიის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და ჯერჯერობით ეს გახლავთ ისრაელის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატება. უნდა აღინიშნოს, რომ ახლა ისრაელის კლუბებში მრავალი უცხოელი ფეხბურთელიც თამაშობს, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. თავის მხრივ, ისრაელის რამდენიმე საუკეთესო ოსტატი გამოდის ინგლისსა და გერმანიაში.

ისრაელის ნაკრები წლის განმავლობაში მონაწილეობს როგორც კალენდარულ (მსოფლიო ჩემპიონატის ან ოლიმპიური ტურნირის), ისე ამხანაგურ მატჩებში. აქედან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შეხვედრებში გუნდის ხელმძღვანელობა იწვევს ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებს.

უკანასკნელი დიდი შეჯიბრება, რომელშიც ისრაელის ნაკრები მონაწილეობდა, იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (VI ევროპული ჯგუფი). ეს ჯგუფი საკმაოდ ძლიერი იყო, ბრძოლა პირველი და მეორე ადგილებისთვის საფრანგეთის, შვეიცარიისა და შვეიცარიის ნაკრებებს შორის მიმდინარეობდა. და აი ამ დავაში ისრაელის ნაკრებს, თუმცა, ტურნირში წარმატება არ ჰქონია (1 მოგება, 3 ფრე, 6 წაგება, ბურთების სხვაობა 10-27) მაინც საბოლოო აგარიშით გადამწყვეტი როლი შეასრულა: ხუმრობა როდია, მან პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე მოუგო საფრანგეთის ნაკრებს — 2-1.

სულ ახლახან, [illegible] ევროპის 1996 [illegible] ჩემპიონატში მონაწილე გუნდების წილადყრა [illegible] იმართა, ისრაელის ნაკრები [illegible] პირველ შესარჩევ ჯგუფში. (საფრანგეთი, რუმინეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, აზერბაიჯანი). რა თქმა უნდა, მას პირველ ან მეორე ადგილზე გამოსვლის პრეტენდენტად არავინ თვლის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისი ძლევა იოლი არ იქნება.

ისრაელისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა ამ ქვეყნების ისტორიაში პირველია, იგი სწორედ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ემსახურება.

ზვიკი ბამრეკელი

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

და კვლავ ურუგვაი...

(ბრაზილია, 1950 წელი)

მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1946 წლის 25 ივნისს ლუქსემბურგში ფიფას კონგრესზე, რომელზეც ფიფას პრეზიდენტის ჟიულ რიმეს სახელი მიენიჭა მსოფლიო თასის გათამაშებას.

მეოთხე ჩემპიონატის მასპინძელი აუცილებლად სამხრეთ ამერიკის ქვეყანა უნდა ყოფილიყო, ამჯერად ორი კანდიდატი იყო: ბრაზილია და არგენტინა. მაგრამ სანამ კენჭისყრა დაიწყებოდა, ბრაზილიელთა დელეგაციის წევრმა, დოქტორმა-მაჩადომ სიტყვა ითხოვა და დამსწრეთ აღუთქვა, რომ რიო-დე-ჟანეიროში აშენდება ახალი უზარმაზარი სტადიონი 200 ათასი ადგილით. ეს დაპირება საკმარისი აღმოდგა, რათა ჩემპიონატის მასპინძლად ბრაზილია დაესახელებინათ. ბრაზილიელები ისე იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ გამარჯვებაში, რომ თემიდას ფინალური ტურნირის რეგლამენტიც შეაცვლევინეს და ფინალურ მატჩზე უარი ათქმევინეს — გადწყდა ოთხ ჯგუფში გამარჯვებულებს შეექმნათ ფინალური ჯგუფი და თამაშები წრიული სისტემით ჩატარებულიყო. პირველ ადგილზე გასული გუნდი ჩემპიონად ცხადდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ შესარჩევი მატჩებისთვის განაცხადი გაკეთა 33 ქვეყანამ, ფინალურ ტურნირზე მხოლოდ 13 ნაკრები გამოცხადდა. ზოგიერთ შესარჩევ ჯგუფში მატჩები საერთოდ არ გამართულა.

შესარჩევ ტურნირში 10 ჯგუფში გაიმართა 26 შეხვედრა, გავიდა 121 გოლი.

რევანშიც ამას ჰქვია

შვეიცარია, 1954 წელი

გათამაშებაში ჩაება 34 ნაკრები, შესარჩევ ტურში 13 ჯგუფში განაწილებულმა გუნდებმა გამართეს 57 მატჩი, გატანილ იქნა 208 გოლი.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობდა 16 გუნდი, ოთხი ქვეჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გავიდა მეოთხედფინალში, სადაც უკვე ოლიმპიური სისტემა მოქმედებდა.

ჩემპიონატი გაიხსნა 1954 წლის 16 ივნისს, სულ გაიმართა 26 მატჩი, რომელსაც დაესწრო 943 ათასი მაყურებელი (საშუალოდ 30.500 ერთ შეხვედრაში), გატანილ იქნა 140 გოლი (საშუალოდ 5,38). ეს ყველაზე მაღალი შედეგიანობაა ჩემპიონატების ისტორიაში. მეორე ქვეჯგუფში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები და უნგრეთის ეგრეთ წოდებული „დიდი გუნდი“ შეხვდა ერთმანეთს. მატჩი უნგრელთა გამარჯვებით 8-3 დასრულდა, გერმანელებმა თურქეთის ნაკრებთან მეოთხედფინალში გასასვლელად დამატებითი მატჩი გამართეს და გაიმარჯვეს 7-2.

გერმანელები და უნგრელები კვლავ, ამჯერად ფინალურ მატჩში, დაადგნენ ერთმანეთის პირისპირ. მანამდე უნგრელებმა ბრაზილიელებს და ურუგვაელებს ერთნაირი ანგარიშით 4-2 მოუგეს, ხოლო გფრ-ის ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავია (2-0) და ავსტრია (6-1). მესამე ადგილი ავსტრიელებს ერგოთ — მათ ანგარიშით 3-1 ურუგვაი დაამარცხეს.

დადგა ფინალის დღე. ყველა დარწმუნებული იყო უნგრელთა დიდებული გუნდის გამარჯვებაში, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ გერმანელები. მათმა შეუპოვარმა მებრძოლმა ხასიათმა თავისი გაიტანა და თოქმის წაგებულ შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწიეს.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ბრწყინვალე უნგრელი ინსაიდი შანდორ კოჩიში — 5 შეხვედრაში 11 გოლი.

საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ლეგენდარული ინგლისელი სტენლი მეტიუზი. სულ შესრულდა 2 ჰეთ-თრიკი, კოჩიმმა ერთ [illegible]

26 მატჩს მოემსახურა 15 ქვეყნის 16 მსაჯი.

ჩემპიონატის იდეალური ნაკრები: გროშიჩი (უნგრეთი), ჯალმა სანტოსი (ბრაზილია), ოცვირკი (ავსტრია), სანტა-მარია (ურუგვაი), ბოჟიკი (უნგრეთი), ბაუერი (ბრაზილია), რანი (გფრ), კოჩიში (უნგრეთი), ფ. ვალტერი (გფრ), პუშკაში (უნგრეთი), ციბორი (უნგრეთი).

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი იყო ზეპ ჰერბერგერი, კაპიტანი — ფრიც ვალტერი.

ფინალი: გფრ — უნგრეთი 3-2 (2-2). ბერნი, „ვანკდორფშტადიონი“, 4 ივლისი, 62.472 მაყურებელი, მთავარი მსაჯი უ. ლინგი (ინგლისი).

გფრ: ტურეკი, პოზიპალი, კოლმეიერი, ეკელი, ლიბრიჰი, მაი, რანი, მორლოკი, ო. ვალტერი, ფ. ვალტერი, შეფერი.

უნგრეთი: გროშიჩი, ბუზანსკი, ლანტოში, ლორანტი, ბოჟიკი, ზაკარიაში, ციბორი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში, მ. ტოტი.

გოლები: პუშკაში (6 წთ)., ციბორი (8), მორლოკი (10), რანი (19 [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ზამთრის ოლიმპიადების ისტორიიდან

თხილამურებზე დაბადებული ჟან-კლოდ კილი

...— აი ეს არის ის სახელგანთქმული ჟან-კლოდ კილი, პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის გვერდით რომ დგას!

დარწმუნებული ვართ, 1990 წლის თებერვალს, თეთრი ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე, სპორტის მრავალი გულშემატკივარი უშუალოდ საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ალბერვილის სტადიონზე თუ ტელევიზორების ეკრანთან უდავოდ შეიცნობდა — საფრანგეთის პრეზიდენტის გვერდით მდგარ XVI ზამთრის თამაშების კერპს. ამ დღეს მიკროფონთან მყოფი კილი თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე იყო, მანამდე კი...

მანამდე, ზუსტად 22 წლის წინათ, ასევე 22 წლის სამთომოთხილამურე ჟან-კლოდ კილიმ უშეღავათო ბრძოლაში მსოფლიოს უძლიერეს მოთხილამურეებთან ზედიზედ ოქროს სამი ოლიმპიური მედალი მოიპოვა შამონიის თავზრუდამხვევ ტრასებზე. ცხადია, მანამდეც იყვნენ სამთო თხილამურების აღიარებული კერპები — ავსტრიელი ეგონ ციმერმანი, ფრანგი მარიელ გოიჩელი, იტალიელი ზენო კოლო, ნორვეგიელი სტეინ ერიკსენი, კანადელი ნენსი გრინი და სხვანი, მაგრამ ამ ვარსკვლავთა შორის, ასე ვთქვათ, სუპერვარსკვლავად უდავოდ ითვლებიან კორტინა დ'ამპეცოს (1956 წლის) თოვლიანი ტრასების გმირი, ავსტრიელი ტონი ზაილერი და ჩვენი გვერდის დღევანდელი სტუმარი ჟან-კლოდ კილი. ორივემ სამთო-სათხილამურო სამჭიდის სამივე „ოქრო“ მოიგო.

...სამი წლისა იყო ჟან-კლოდი, პირველად რომ დადგა მამის მიერ ნაჩუქარ ციცქნა თხილამურებზე. ორ საათზე მეტი ისრიალა იმ დღეს პატარა „ტუტუნმა“. — („ლეკვმა“), ვალ დ' იზერში, სადაც კილების ოჯახი გადასახლდა, ყველა ერთთავად თხილამურებზე იდგა. ეს ისე ბუნებრივი იყო, როგორც ადამიანისათვის ჭამა-სმა. თუ ვინმე არ იდგა თხილამურებზე, ესე იგი,, ავად იყო.

გავიდა ხუთი წელიწადი და პატარა კილი ისე დაეუფლა თხილამურებს, დღეში ათჯერ-თორმეტჯერ ეშვებოდა სოლეზის პლატოს ყველაზე რთული ტრასით. პირველი წარმატება კი... თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში მოიპოვა. ეს იყო სასკოლო პირველობა 20-მეტრიან ტრამპლინზე. ნორჩი ჩემპიონი 16 თუ 17 მეტრზე გადახტა საკმაოდ კარგი სტილით. გარდა ამისა, კილიმ მოიგო შეჯიბრება სლალომში — ეგრეთ წოდებული ჰოლანდიელი დედოფლის იულიანას თასი.

10 წლის ჟან-კლოდ კილის სახელი პირველად მოხვდა გაზეთის ფურცლებზე. მართალია, ეს პროვინციული გაზეთი „დოფინე ლიბერე“ იყო, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინო ადგილზე ეწერა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის წარმატებაზე ზემო ტარანტეზის ჭაბუკთა კრიტერიუმში. ამასთან, იგი უძლიერესი იყო სწრაფდაშვებაშიც, სლალომშიც და, ცხადია, ორჭიდშიც. მამამ გაზეთიდან ამოჭრა წერილი და იმ დღიდან საფუძველი ჩაუყარა ჩემპიონის მდიდარ ალბომს.

გადიოდა წლები, იხვეწებოდა კილის ოსტატობა — იგი ჯერ ქვეყნის „იმედთა“ ნაკრებში შეიყვანეს, მერე კი საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში. ახლოვდებოდა შამონის 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, კილი გიგანტური სლალომის ტრასაზე უნდა გამოეყვანათ, მაგრამ კორტინა დ'ამპეცოში ორი კვირით ადრე გამართულ შეჯიბრებაში იგი დაეცა ტრასის ყინულოვან მონაკვეთზე და საავადმყოფოში აღმოჩნდა თაბაშირში ჩასმული ფეხით. შამონის ჩემპიონატს იგი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ყავარჯნებით ხელში. მთელი წელიწადი გაუცდა კილის. მერე ყოველივე თავიდან დაიწყო. ერთ-ერთ პრესტიჟულ ასპარეზობაზე კიცბიუელში „ალბედა“ მეათე ათეულში მოხვდა, მერე იყო მერვე, მესამე და, აი, ცნობილი მწვრთნელის ონორე ბონეს — „თხილამურების ნაპოლეონად“ რომ იყო ცნობილი — მოწაფემ ისეთ „არასათხილამურო“ ქვეყანაში, როგორიც ჩილეა, პორტილოს სწრაფდაშვების ტრასაზე ბრწყინვალედ - მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი და ჩემპიონობაც სამჭიდში. უნდა თქვას, რომ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფრანგი სამთომოთხილამურენი საერთოდ ძლიერად გამოვიდნენ — ოცდაორთხი მედლიდან თექვსმეტი მოიგეს: კილის გარდა „ოქრო“ მიიღეს მარიელ გოიჩელმა, გი პერიამ, ანი ფამოზმა.

1968 წლის 9 თებერვალი. თეთრი ოლიმპიადა ალბერვილში. ოლიმპიური კასრუსის ტრასა, სწრაფდაშვება...

სტარტზეა მონაწილე № 14 — ჟან-კლოდ კილი.

„გოუ“! — გაისმის მესტარტის ხმა. იელვეს კილის თხილამურებმა. გაქანდა, მართლაც რომ გაფრინდა (ისე კი მან 40-მდე მეტრი იფრინა ტრასაზე მდებარე ერთ-ერთი ბორცვიდან) და გეზი აიღო... ჩემპიონის ოქროს მედლისკენ. ვერც ერთმა მეტოქემ ვერ გააუმჯობესა მისი შედეგი — ჟან-კლოდ კილი ოლიმპიური ჩემპიონის გახდა სწრაფდაშვებაში.

სამი დღის შემდეგ — ორშაბათს, 14 თებერვალს პორტილოში გიგანტური სლალომი გაიმართა, შაბათს კი — სპეციალური სლალომი. ჩემპიონმა იცოდა, რომ გიგანტში მას ამჯერად ტოლი არ ჰყავდა. ასეც მოხდა — დამაჯერებლად მოუგო მეორე (შვეიცარიელი ფავრი) და მესამე (ავსტრიელი მესნერი) პრიზიორს. მთელი შამრუსი მოლოდინში იყო — გაიმეორებდა თუ არა ახალგაზრდა ჟან-კლოდ კილი ლეგენდარული ავსტრიელი ტონი ზაილერის რეკორდს — სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონობას.

კილიმ ეს ტრასაც საკმაოდ დამაჯერებლად გაიარა, მაგრამ დიქტორმა გამოაცხადა, რომ მასზე უკეთესი დრო აქვს ავსტრიელ კარლ შრანცს. თაყვანისმცემლები გარს შემოეხვიენენ მას, კოცნიდნენ, ულოცავდნენ, მაგრამ შრანცის სახეზე სიხარულის ნაცვლად რაღაც დაბნეულობა და შიში იყო აღბეჭდილი. მალე ყველაფერი გაირკვა: თურმე ავსტრიელს გამოუტოვებია მე-18 და მე-19 კარები და ამიტომაც მისი შედეგი გაუქმდა, ჩემპიონად ფრანგი კილი გამოცხადდა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თხილამურების მეფე და ჭეშმარიტი რაინდი ჟან-კლოდ კილი.

ოთარ ნოზაძე

ავსტრიის ბედნიერი კორტები

ქართველ ჩოგბურთელს ლელა მესხს „ოფიციალურად“ დაებადა ავსტრიის ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატში თამაში. შარშან შუამდე თანამეწყვილესთან მოსკოველ ევგენია მანიუკოვასთან ერთად მან ტურნირის „ფინიბრება“ მოიგო. ამ წყვილმა წლეულსაც გამოიჩინა თავი — პირველი ადგილი დაიკავა. ფინალში კარლსონ (შვეცია) — შნაიდერის (გერმანია) ინტერნაციონალურ წყვილს აჯობა.

ერთეულთა შეჯიბრების მეოთხედფინალში ლელა მესხი გერმანელ ბაბელთან დამარცხდა.

ექვსს მივუმატოთ რვა, ანუ... ხუთი!

ასეთი უცნაური „არითმეტიკა“, ცხადია, საგანგებო განმარტებას მოითხოვს. როცა ამიერიდან ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებზე ვილაპარაკებთ, უცილებლად უნდა მივუთითოთ: „ფიდეს ვერსიით“ ან „პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ვერსიით“. წინათ, ცხადია, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, პრეტენდენტი, უბრალოდ, პრეტენდენტი იყო, სადღეისოდ კი რეალობა სულ სხვაგვარია.

დავიწყოთ იმით, რომ შარშან ზაფხულში ფიდემ ქალაქ ბილში (შვეიცარია) მოაწყო თავისი მორიგი საზონათშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენელი, ოსტატი გია ბაღათუროვიც მონაწილეობდა. აქ გამოვლინდა 11 პრეტენდენტი: ბორის გელფანდი (ბელარუსი), გატა კამსკი (აშშ), ვლადიმერ კრამნიკი, ვალერი სალოვი, ალექსანდრე ხალიფმანი (სამივე — რუსეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ვიშვანათჰან ანანდი (ინდოეთი), ლეონიდ იუდასინი (ისრაელი), პაულ ვან დერ სტერენი (ჰოლანდია), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) და არტურ იუსუპოვი (გერმანია). შოგვიანებით მათ დაემატა იან ტომანიც (ჰოლანდია), როგორც მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვთან მატჩში მონაწილე.

შემდეგ, წილისყრით, ასეთი 6 წყვილი შედგა, რომელთაც პირობითად მერვედფინალი შეიძლება ვუწოდოთ: გელფანდი-ადამსი, კრამნიკი-იუდასინი, სალოვი-ხალიფმანი, ანანდი-იუსუპოვი, ტომანი-ლოტიე და კამსკი-ვან დერ სტერენი.

ასე არ უნდაო, და დეკემბერში გრონინგენში (ჰოლანდია) პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციამაც გამართა თავისი შესარჩევი ტურნირი. აქ გამოვლინდა (გთხოვთ დაკვირდეთ გვარებს) შვიდი პრეტენდენტი: ანანდი, კრამნიკი, კამსკი, ადამსი, ბორის გულკო (აშშ), ოლეგ რომანიშინი (უკრაინა) და სერგეი ტივიაკოვი (რუსეთი). მათ დაემატა ნაიჯელ შორტი (ინგლისი), როგორც მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვთან ბოლო მატჩის მონაწილე.

მაშ ასე — 12 პრეტენდენტი ფიდეს და 8 პრეტენდენტი პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის სისტემით. ამასთან ამ სტადიაზე, არც მეტი, არც ნაკლები, 4 საერთოა, იქაც და აქაც — ანანდი, კრამნიკი, კამსკი, ადამსი... საინტერესოა, რომ არც ფიდესა და არც ასოციაციას რაიმე შეზღუდვა არ შემოუღიათ: გნებავს ითამაშო ჩვენთან? ითამაშე! გნებავს სხვაგანაც ითამაშო? შენი ნებაა!

იანვარში ფიდემ პრეტენდენტთა ასპარეზობის პირველი წრეც გამართა და ამრიგად კარპოვთან შეხვედრის მსურველთა რიცხვიც განახევრდა, აქ მეტოქეებმა 8-8 პარტია ითამაშეს და მოხდა ისე, რომ ყველა ჩაეტია „ძირითად დროში“, რაიმე დამატებითი შეხვედრის გამართვა საჭირო აღარ შეიქნა: კამსკიმ სრულიად იოლად, თითქოს საწვრთნელ პარტიებს თამაშობსო, დაამარცხა ვან დერ სტერენი და ეს გასაკვირიც არ იყო, ვინაიდან ჯერ კიდევ ადრე ჰოლანდიელის მოხვედრა ამ „კომპანიაში“ სრულიად შემთხვევითად ჩაითვალა, უფრო მოულოდნელი იყო ხალიფმანის სასტიკი დამარცხება სალოვთან. კრამნიკმა დამაჯერებლად მოუგო იუდასინს, გელფანდმა დაძლია ადამსის მძაფრი წინააღმდეგობა. ყველაზე ძლიერი მეტოქე, შესაძლოა, სწორედ ანანდს ჰყავდ — მრავალნაცადი იუსუპოვი, მაგრამ ინდოელმა მაინც მიაღწია გამარჯვებას. ტომანმა ძლივს მოუგო ლოტიეს.

მაშ ასე. „კარპოვის სისტემაში“ დარჩა 6 პრეტენდენტი: გელფანდი, ტომანი, სალოვი, კამსკი, კრამნიკი და ანანდი. სამი „ორ ფრონტზე“ მებრძოლია, რომელთა რიგებს გამოაკლდა მხოლოდ ადამსი.

ამ ექვსს ჯერჯერობით დავუმატოთ „კასპაროვის სისტემის“ რვა პრეტენდენტი, ანუ ხუთი (სამი ხელახერთოა!).

ერთი სიტყვით, სიტუაცია ფრიად არაორდინარულია. არც ის არის გამორიცხული, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, თამაშს განაახლებს კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი, რობერტ ფიშერი, ცხადია, მასთან შეხვედრის პრეტენდენტებიც გამოჩნდებიან, ჯერჯერობით კი ასეთი ერთია — 17 წლის იუდით პოლგარი, რომლის ბოლო წარმატებაზე ღირს ყურადღების შეჩერება. დეკემბერში დიდოსტატმა ქალაშვილმა ითამაშა ოვიედოში (ესპანეთი) გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში სწრაფ ჭადრაკში (აქ მეტოქეებს მთელი პარტიისთვის 45-45 წუთი ეძლეოდათ), სადაც 13 შესაძლებლიდან 11 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ადრე ნოგოსიბირსკელი, ამჟამად კი პარიზელი დიდოსტატი ანატოლი კარპოვი, მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ (დამატებითი მონაცემების გათვალისწინებით) ლეონიდ იუდასინი (ისრაელი), სერგეი სმაგინი (რუსეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი) და ანდრეი ხარლოვი (რუსეთი). თქმა არ უნდა, პოლგარმა შესანიშნავ შედეგს მიაღწია. მეექვსე-მეათე ადგილები გაიყვეს ილია სმირინმა (ისრაელი), იან ტომანმა (ჰოლანდია), ივან კოკოლოვმა (ბოსნია და ჰერცეგოვინა), ვალერი სალოვმა (რუსეთი) და სერგეი ზაგრებალნიმ (უზბეკეთი). მათ 10-10 ქულა მოაგროვეს. იმ მოჭადრაკეთა შორის, რომლებმაც 9,5 ქულით დაასრულეს შეჯიბრება, იყო ჩვენი დიდოსტატი ელიზბარ უბილავაც. ზურაბ აზმაიფარაშვილმა და მაია ჩიბურდანიძემ 9-9 ქულა მოაგროვეს.

შემდეგ იუდით პოლგარი გრონინგენში გაუმგზავრა, სადაც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები („კასპაროვის სისტემით“) უნდა შეერჩიათ. აქ მან 11 შესაძლებლიდან 6½ ქულა მოაგროვა. სულ ნახევარი ქულით მეტი რომ ჰქონოდა, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ხდებოდა!

ბიბი გამრეკელი

ტრაგიკულმა შემთხვევამ საქართველოს ცხენოსანთა რიგებს გამოაკლო შესანიშნავი მხედარი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი, 22 წლის ნიკოლოზ (ნუკრი) კოკის ძე დგებუაძე. იგი 40 დღის წინათ წავიდა ჩვენგან.

ნ. დგებუაძე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხაცხენოსნო ბაზაში აღიზარდა და მეგობარ-ცხენოსნებს შორის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მისი ხსოვნა ემახსოვრებათ მათ, ვინც კი იცნობდა ამ შესანიშნავ ადამიანსა და სპორტსმენს.

საქართველოს ცხენოსნოგიესა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია,

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო ბაზა.

სპორტული ტელეეკრანი

საქართველო

17 თებერვალი. 18. 50. ხელბურთი გუშინ, დღეს, ხვალ.

„ოსტანკინო“

16 თებერვალი. 17. 05. XVII ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სათხილამურო ფრისტაილი. **23. 35.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვაჟთა ციგურებით რბენა 1500 მეტრზე. **0. 50.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. **17 თებერვალი, 14. 20.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ქალთა სათხილამურო რბოლა 10 კილომეტრზე. **17. 20.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერგიგანტი. ვაჟები. **21. 55.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. **0. 30.** „ოლიმპიადის დღიური“. **18. თებერვალი.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. 15 კმ. ქალები. **16. 55.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი.

„ოსტანკინო“

16 თებერვალი. 12.50. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. **16. 55.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. **21. 25.** ოლიმპიური კურიერი. **17 თებერვალი. 12.10.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვაჟთა სათხილამურო რბოლა 10 კილომეტრზე. **19. 10.** ქალთა ციგურებით რბენა 3.000 მეტრზე. **21. 30.** ოლიმპიური კურიერი. **22. 05.** და **23. 30.** ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ვაჟთა ფიგურული სრიალი. **18 თებერვალი. 12. 50.** ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. **15.55.** ვაჟთა ციგურებით რბენა 1000 მეტრზე. **21. 45.** ოლიმპიური კურიერი.

ალენ პროსტი და აირტონ სენა

ეს ისტორია არ დაწყებულა გუშინ და, როგორც ჩანს, ხვალ არ დამთავრდება. ორი სუპერმილიონერის — ბრაზილიელი აირტონ სენასა და ფრანგი ალენ პროსტის დუელი შარშანდელი „ფორმულა-11“-ის მთავარი ინტრიგა გახლდათ და დამთავრდა 7 ნოემბერს ადელაიდაში.

აირტონ სენამ მოიგო ბოლო ეტაპი, მაგრამ საერთო გამარჯვება ალენ პროსტს დარჩა. ავსტრალიის „გრან პრი“ პირველ რიგში ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ მოხდა ამ ორი სუპერპილოტის შერიგება.

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ალბათ თანამედროვეობის ამ ორი უძლიერესი ავტომობილისტის შედეგების ურთიერთშედარება.

ალენ პროსტი. 33 წლის. 13 სეზონი „ფორმულაში“. მონაწილეობა აქვს მიღებული 199 „გრან-პრიში“ (მესამე შედეგი „ფორმულის“ ისტორიაში), გამარჯვება — 51, ნახევარი-პოზიცია — 33, წრის რეკორდი — 41, ქულა 798,5, ჩემპიონის ტიტული — 4.

აირტონ სენა. 33 წლის. 9 სეზონი „ფორმულაში“. მონაწილეობა აქვს მიღებული 158 „გრან-პრიში“ (მეთერთმეტე შედეგი „ფორმულის“ ისტორიაში). გამარჯვება — 41, ნახევარი-პოზიცია — 62, წრის რეკორდი — 20, ქულა — 614, ჩემპიონის ტიტული — 3.

1988 წელს ერთად იცავდნენ „მაკლარენის“ ღირსებას. სწორედ იმ წელს დაამყარეს „ფორმულის“ აბსოლუტური რეკორდი — ერთად დაგროვეს 199 ქულა (256-დან) და 16 რბოლიდან 15-ში გამარჯვება მოიპოვეს.

საარედაქციო კოლეგია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380009, ჟ. კოსტავას 14. ● ტელეფონი 99-56-14 ინდექსი 66435 INDEX დაიბეჭდა „ბაშოიბლოში“.